



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში

შესავალი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციაში შედის ორი ძირითადი მიმართულება - აფხაზეთის რეგიონსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობა და მასში მონაწილეობა და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციაა ამ მიმართულებებით სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და კოორდინაცია. აპარატს არ გააჩნია კონკრეტული პროექტების იმპლემენტაციის უფლებამოსილება, რაც ასევე აისახება მის წლიურ ბიუჯეტზე, რომელიც 1, 350მლნ. ლარს შეადგენს.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავის საქმიანობას ახორციელებს სხვა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან და საერთაშორისო თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო პარტნიორობით, რისთვისაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი მადლობას უხდის მათ გაწეული საქმიანობისათვის.

2012 წლის ოქტომბერში კონფლიქტების სფეროში საქართველოს მთავრობას წინა ხელისუფლებისგან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ამოცანა იყო და არის, შექმნას ხელსაყრელი გარემო ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მეტი ჩართულობისთვის. ამისათვის,

საქართველოს მთავრობამ აირჩია მშვიდობიანი, ღია, პრაგმატული და კონსტრუქციული კურსი.

მთავრობამ დაიწყო მთელი რიგი ცალმხრივი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მიზნად ისახავს, წლების განმავლობაში შექმნილი გაუცხოვების შემდეგ, გაჩნდეს ნდობის აღდგენისა და გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობები.

2013 წლის 7 მარტს, ახალი მოწვევის პარლამენტმა თავის რეზოლუციაში „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ მაღალი ლეგიტიმაციის ხარისხით გაამყარა ჯერ კიდევ 2010 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ სტრასბურგში გაცხადებული ძალის გამოუყენებლობის ცალმხრივი ვალდებულება. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ვალდებულება 2014 წელს რატიფიცირებულ ასოცირების შეთანხმებაშიც გაიწერა.

ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯები, რათა საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ უკეთ მისადაგებოდა ადამიანის უფლებათა სტანდარტებს და ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის ჰუმანიტარულ საჭიროებებს. 2012 წლის დეკემბერში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეიმუშავა ცვლილებათა პაკეტი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისათვის პირველი შემთხვევისთვის პასუხისმგებლობა გადატანილ იქნეს სისხლის სამართლის სფეროდან ადმინისტრაციული სამართლის სფეროში და პირს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ნორმას განმეორებით, შესაბამისად გათვითცნობიერებულად, დაარღვევს. გარდა ამისა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონპროექტით შესაძლებელი გახდა გამონაკლის შემთხვევებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის სპეციალური ნებართვის გაცემა, ქმედების განხორციელების შემდეგ. აღნიშნული ცვლილებების პროექტი მოიწონეს დასავლელმა პარტნიორებმა, მათ შორის ვენეციის კომისიამ.

ასევე, მთავრობამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისათვის ნებართვის გაცემის პროცედურა გაამარტივა. ნაცვლად მთავრობის აქტისა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კონსულტაციის შემდეგ, ბრძანებით ნებართვის გაცემის უფლებამოსილება, კონკრეტულ ეკონომიკურ საქმიანობაზე პასუხისმგებელ მინისტრს მიენიჭა. რაც, თავის მხრივ ხელს შეუწყობს კანონიერი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას.

გარდა ამისა, ქართულმა მხარემ აფხაზებსა და ოსებს პირდაპირი დიალოგი შესთავაზა, რის თაობაზეც 2013 წლის 8 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ განაცხადა.

2014 წლის პირველი იანვრიდან შეიცვალა უწყების სახელწოდება - „სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში“. ახალი სახელწოდების ინიცირებით, ქართულმა მხარემ გამოხატა მზადყოფნა ნდობის აღდგენისა და პირდაპირი დიალოგის წარმოებისათვის და უფრო ადექვატურად ასახა აპარატის საქმიანობის მეორე, მნიშვნელოვანი, სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულება.

ასევე გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, რათა ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს მშვიდობისა და განვითარებისათვის სივრცე შექმნილიყო და დავხმარებოდით ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთაც მავთულხლართების და ხელოვნური გამყოფი ხაზების სიახლოვეს, უსაფრთხოების და ჰუმანიტარული გამოწვევების ფონზე, რთულ ვითარებაში უწყვეტ ყოფა.

წინა ხელისუფლების პერიოდში, 2008 წლიდან მოყოლებული ომით დაზარალებული სოფლების საჭიროებები ფაქტობრივად, იგნორირებული იყო. ჩვენ მოვინახულეთ ამ სოფლების უმეტესობა, ადგილზე გავეცანით მოსახლეობის პრობლემებს და მათზე რეაგირების მიზნით, 2013 წლის ოქტომბერში შეიქმნა უწყებათშორისი სამთავრობო კომისია, რომელსაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად თანათავმჯდომარეობს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო. კომისიის ფარგლებში

მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა მოსახლეობის ადგილზე დამაგრებისათვის, როგორც საბიუჯეტო სახსრების, ასევე საერთაშორისო პარტნიორების დახმარების მობილიზების გზით. ამ რეგიონების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე მიმართული არაერთი პროექტის განხორციელება განიხილება მომავალში. ჩვენმა აპარატმა მოამზადა სტრატეგია, რომელშიც გაწერილია ამ რეგიონები განვითარების ხედვა. სტრატეგია კომისიის მიერ განხილვის პროცესშია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის წყალობით, შემცირდა ინციდენტების რაოდენობა გალის რაიონში და დაძაბულობის კერები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ. სახელმწიფოს ღია პოლიტიკის შედეგად გაჩნდა გადაადგილების ზრდის პოზიტიური ტენდენცია, განსაკუთრებით ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დანარჩენი საქართველოს მიმართულებით. მაგალითისთვის, სამედიცინო დახმარების მსურველთა რიცხვი ზემოხსენებული რეგიონიდან გაოთხმაგდა. უფასო ჯანდაცვის მომსახურება ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, ისევე, როგორც განათლების შესაძლებლობები საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, მთავრობის ჩართულობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც წარმატებით ხორციელდება ბოლო ორი წლის განმავლობაში.

თუმცა, რუსეთის მიერ მავთულხლართების აღმართვის ინტენსიფიკაციამ, რომელიც ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო, და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიისაკენ გადადგმულმა ნაბიჯების მთელმა წყებამ შექმნეს ახალი გამოწვევები.

რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას შორის 24 ნოემბერს გაფორმებული ე.წ. ხელშეკრულება არის ისეთივე უკანონო, როგორც მანამდე გაფორმებული სხვა ე.წ. ხელშეკრულებები და მას საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს. რუსეთის ეს ნაბიჯი არის 2008 წლის აგვისტოში დაწყებული ოკუპაციის რეალიზაცია, რაც მიზნად ისახავს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისთვის პირობების შექმნას. ესაა, რუსეთის ღია გამოწვევა საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ევროპული მისწრაფებებისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი მყარია და უცვლელი რჩება.

გასული ორი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება იყო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა, რადგან ის ქმნის შესაძლებლობებს კონფლიქტის მოგვარების სფეროშიც. ჩვენი ამოცანაა, რომ ევროინტეგრაციის პროცესით წარმოქმნილი სარგებელი ხელმისაწვდომი იყოს ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებელთათვის და სწორედ, ამ მხრივ იდგმება ნაბიჯები.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან სამშვიდობო პოლიტიკის ხელშესაწყობად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის სრულ მხარდაჭერაზე დაყრდნობით. გვინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს - მათი მხარდაჭერა და ჩართულობა ახლაც და მომავალშიც ძალიან მნიშვნელოვანია.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რამდენიმე ფორმატში, სადაც რეგულარულად იღებს მონაწილეობას. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი რამდენიმე ინციდენტის ამოწურვასა და დამაბულობის განმუხტვაში. 2013 წლის ივნისს-აგვისტოს პერიოდში სახელმწიფო მინისტრი იმყოფებოდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. სამთაწყაროში და ადიგენის რაიონის სოფ. ჭელაში, სადაც შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას, მუსლიმური თემის ლიდერებს, სოფლის რწმუნებულებს. განხილული იქნა ბოლო პერიოდში რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები.

რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების სამართლებრივ სივრცეში მოქცევისა და გადაწყვეტის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით 2013 წლის 29 დეკემბერს შეიქმნა „რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისია“. კომისიის მუშაობის შედეგად მიღწეულ იქნა ორი მნიშვნელოვანი შედეგი: 1) კომისიამ შეიმუშავა და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის

დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესი“, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა საქართველოში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებებისთვის ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება; 2) უწყებათაშორის კომისიის ინიციატივით 2014 წლის თებერვალში შეიქმნა აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომლის ძირითადი ამოცანა იქნება ისეთი საკითხების შესწავლა და მათზე საკანონმდებლო რეკომენდაციების შემუშავება, როგორცაა რელიგიური-საკულტო ნაგებობების მშენებლობა, რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება, რელიგიური საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულირება და სხვა საკითხები.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ პოლიტიკის შემუშავება და მისი ეფექტური განხორციელება სახელმწიფო მინისტრის კიდევ ერთი კომპეტენციაა. ამ პოლიტიკის მიზანია ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა, საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველყოფა, ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობა.

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპულ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება და, შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აიღო ის ვალდებულება, რომელიც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვას და მათი ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფას ქვეყნის განვითარებაში. სახელმწიფო სტრატეგია ეროვნული უმცირესობების მიმართ ითვალისწინებს ამ ვალდებულებების თანდათანობით განხორციელებას.

ამ პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წლების შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომლის იმპლემენტაციაც ამჟამად მიმდინარეობს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი უზრუნველყოფს ამ კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობას, კოორდინირებას და ანგარიშგებას.

მიმდინარე სამოქმედო გეგმას წელს ეწურება ვადა და ჩვენი აპარატი მუშაობს ახალი სტრატეგიისა და მომავალი წლების სამოქმედო გეგმაზე. დამტკიცებამდე, ახალი დოკუმენტი იქნება ფართოდ განხილული არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებში. მას ჩაუტარდება საერთაშორისო ექსპერტიზა. ეთნიკური უმცირესობების იდენტობა არის დაცული, ხოლო მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის პროცესი საზოგადოებაში ჯერ არ არის დასრულებული. სწორედ ამ მიზნისკენ იქნება მიმართული ახალი სტრატეგია.

ევროკავშირის ჩართულობა და ევროინტეგრაცია

გასული ორი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება იყო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა, რადგან ის ქმნის შესაძლებლობებს კონფლიქტის მოგვარების სფეროშიც. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგის მოლაპარაკებების პროცესში; შემუშავდა დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა.

კონფლიქტის მოგვარების ნაწილში ასოცირების დღის წესრიგი ითვალისწინებს ევროკავშირისა და საქართველოს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას, ეფექტურ თანამშრომლობისა და კოორდინაციის ინტენსიფიკაციას არამხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ოპერაციულ დონეზე, სტრატეგიული შეხვედრების ჩატარებას, კონფლიქტის გადაწყვეტისა და ჩართულობის მექანიზმების ერთობლივ შემუშავებას, კონსულტაციების გამართვას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების პროცესში ჩასართავად გზების მოძიების მიზნით.

დღის წესრიგი ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის მხრიდან ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებას, ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავების მხარდაჭერას და ადგილობრივი ინიციატივების წახალისებას.

სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ის, რომ იმ ფონზე, რა გამოწვევებიც იქმნება ოკუპირებულ რეგიონებში, გაგრძელებულიყო ადგილზე ევროკავშირის უწყვეტი ჩართულობა, არაღიარების პოლიტიკის ერთიანი ქოლგის ქვეშ. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში კონსულტაციები აწარმოა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა მათ შეინარჩუნონ და გააძლიერონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩართულობა, მიუხედავად იმ დიდი ზეწოლისა და შეზღუდვებისა, რომელსაც ისინი აწყდებიან ამ ტერიტორიებზე შესვლისა და საქმიანობის კუთხით. საყურადღებოა, რომ გასული ორი წლის განმავლობაში, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ოკუპირებულ რეგიონების თემაზე დამატებით 114 პროექტის განხორციელება წამოიწყეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის იყო და არის, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესით, მათ შორის ასოცირების შეთანხმებით შექმნილი სარგებელი ხელმისაწვდომი გახადოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის, გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ მიმართულებით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გატარებულ იქნა რიგი ღონისძიებები, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით შექმნილ შესაძლებლობებში ოკუპირებული რეგიონების მეტი ჩართულობისთვის.

ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების რეალური პერსპექტივა წარმოადგენს ევროინტეგრაციის კიდევ ერთ ხელშესახებ სარგებელს, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხედვით, თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისათვის. უწყების პროგნოზით, გაიზრდება ქართული პასპორტის ადების ფაქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთა შორის. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეასრულა თავისი საშინაო დავალება ევროკავშირი-საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის

პირველი ფაზის წარმატებით შესრულებაში და აგრძელებს თავისი წვლილის შეტანას მეორე ფაზის დროულად დასრულებაში.

ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ევროინტეგრაციის საკითხთა ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ მთავრობის სტრატეგიის განხორციელებაში. მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს შორის იყო ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე სარეკლამო რგოლების მომზადება და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გაშვება (პრაიმ-ტაიმის დროს) უმცირესობათა 4 ენაზე, მათ შორის აფხაზურად და ოსურად; ასევე ამავე ენებზე მომზადდა და გავრცელდა შესაბამისი ბუკლეტები.

ამასთანავე, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს უნივერსიტეტში ჩარიცხულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან, რომელთაც მიეწოდათ ინფორმაცია ასოცირების შეთანხმებაზე და მისგან მომდინარე სარგებელზე, მათ შორის ევროკავშირში მობილობისა და განათლების შესაძლებლობებზე. ზემოაღნიშნული სტუდენტებისთვის გამოცხადდა ესეების კონკურსი თემაზე "საქართველოს ევროინტეგრაცია და მე".

გარდა ამისა, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა რეგიონული მედიის და საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებთან.

ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - მოსახლეობა სარგებლობდეს იმ უფლებებითა და პრივილეგიებით, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის. ამ მიზნით გაგრძელდა ჩართულობის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ჯანდაცვა

ჯანდაცვის უფასო მომსახურეობა წარმოადგენს ჩართულობის სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მიმართულებას. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები სარგებლობენ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით, რომელთა შორის უმთავრესია „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამა. მასში მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებლები განცხადებით მიმართავენ სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რომელიც თავის მხრივ, შუამდგომლობას უწევს მათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. სახელმწიფო ცდილობს, აღნიშნული პროგრამა მაქსიმალურად დაცული იყოს ბიუროკრატიისაგან. გასულ ორ წელიწადში, უფასო სამედიცინო მომსახურებით ათასზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა.

მიუხედავად მავთულხლართებისა და გამყოფ ხაზზე გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვისა, 2012 წელთან შედარებით, გაიზარდა ცხინვალის რეგიონიდან მკურნალობის მსურველთა რაოდენობა. ამ ადამიანების 70% დანარჩენ საქართველოში ჩამოდის ლარსის გამშვები პუნქტიდან, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანები სიცოცხლის რისკის ფასად მავთულხლართებისა და საოკუპაციო რეჟიმის გვერდის ავლით გადმოდიან საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

2013 წლის თებერვალში საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული საყოველთაო დაზღვევის პროგრამა გავრცელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები, ნეიტრალური დოკუმენტების მფლობელი, მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფზე.

2013-2014 წლების განმავლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეროს განვითარების ფონდთან არსებული „საკოორდინაციო მექანიზმის“ ფარგლებში რეგულარულად მიეწოდებოდა სხვადასხვა მედიკამენტები და ვაქცინები; გაცემულია ჯამში 350 ათას ლარზე მეტი ოდენობის.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით აფხაზეთის რეგიონს გადაეცა სამედიცინო ინვენტარი, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთი.

2013-2014 წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის მომსახურებაზე დახარჯული თანხების ოდენობა დაახლოებით 5 მილიონი ლარია.

საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ზუგდიდთან, სოფ. რუხში მიმდინარეობს 220-ადგილიანი მრავალპროფილიანი, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი, საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა, თავისი საერთო საცხოვრებელით, რომელიც თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდისა და სხვა ქალაქების საავადმყოფოების გარდა დამატებით მოემსახურება ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებლებს.

სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები

სოფ. რუხში ასევე იგეგმება მრავალფუნქციური სავაჭრო კომპლექსის მშენებლობა. ეს წახალისებს ვაჭრობას საოკუპაციო ხაზის გადაკვეთით. ვაჭრობის მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ძალიან ბევრი მოქალაქე მიდის თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში. მთავრობის მიზანია, რომ ისინი კიდევ უფრო წახალისდნენ დამატებითი სავაჭრო შესაძლებლობები შექმნით.

მიმდინარეობს მუშაობა ინიციატივებზე, რათა ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებლებისთვის შეთავაზებულ იქნას დამატებითი სოციალურ-ეკონომიკური დახმარება.

ნეიტრალური დოკუმენტები

ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისათვის ნეიტრალური დოკუმენტები ხელმისაწვდომია როგორც საზღვარგარეთ ლეგიტიმურად გადაადგილების დამატებითი შესაძლებლობა. გასული ორი წლის განმავლობაში სტატუს ნეიტრალური

სამგზავრო დოკუმენტი დამატებით აღიარა უნგრეთმა და რუმინეთმა. ამ ეტაპზე დოკუმენტი აღიარებულია 12 სახელმწიფოს, მათ შორის 9 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ. 2012 წლის დეკემბერთან შედარებით, გაიზარდა როგორც გაცემული ნეიტრალური პირადობის მოწმობის, ისე ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის რაოდენობა.

საკოორდინაციო მექანიზმი

საკოორდინაციო მექანიზმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს თბილისსა და სოხუმს შორის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხზე კომუნიკაციისა და მნიშვნელოვანი გზავნილების გაჟღერებისთვის. ამგვარი გზავნილები შესაძლებელია მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ) ჰუმანიტარულ საჭიროებებს, მიმდინარე ან დაგეგმილ საერთაშორისო პროექტებზე ინფორმაციის მიწოდებას, საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და ა.შ.

ევროსაბჭოს პროექტები

სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით და საკოორდინაციო მექანიზმის ჩართულობით, 2013-2014 წლების განმავლობაში ჩატარდა ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის რამდენიმე პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის შეხვედრებს ნეიტრალურ ტერიტორიებზე:

- ქართული და აფხაზური საზოგადოების ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების შეხვედრა ქ. ვენეციაში, იტალია, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის თემაზე სემინარში მონაწილეობის მისაღებად;
- ქართველი და აფხაზი მასწავლებლების, ასევე ქართველი და ოსი მასწავლებლების ვიზიტი ქ. გრაცში, ავსტრია, უცხო ენების სწავლების მეთოლოგიის სემინარში მონაწილეობის მისაღებად;
- კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში ქართველი და აფხაზი ექსპერტების შეხვედრა ქ. სტამბოლში, თურქეთი; სასწავლო ვიზიტი მაკედონიაში, რომლის

მიზანს წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვის მეთოდოლოგიის გაცნობა. პროექტი გრძელდება და მის ფარგლებში დაგეგმილია ქართველი და აფხაზი ექსპერტების შემდგომი შეხვედრები, საარქივო მასალების გაცვლა, ძეგლების მონახულება, ა.შ.

- ინგლისური ენის მასწავლებლების ტრენინგი სოხუმში ევროსაბჭოს ექსპერტების მონაწილეობით;
- ქართველი და აფხაზი მასწავლებლების შეხვედრა ქ. სტამბოლში, თურქეთი, სამომავლო შეხვედრებისა და ვორქშოპების დასაგეგმად, რომელთა მიზანი იქნება გამოცდილების გაზიარება და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის გაცნობა;
- ადამიანის უფლებების თემაზე მომუშავე ქართული და აფხაზური სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლების, ასევე სახალხო დამცველების შეხვედრა ქ. სტამბოლში, თურქეთი, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების განსახილველად;
- აღნიშნული მიმართულებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო ჩართულობით, ასევე განხორციელდა თბილისიდან, ცხინვალიდან და სხვა ქალაქებიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი ბოსნია-ჰერცეგოვინაში ბალკანური კონფლიქტების მოგვარების გამოცდილების შესასწავლად.

2015 წლის განმავლობაში იგეგმება ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ აფხაზეთის რეგიონში ლექციების ჩატარება ევროპული ინსტიტუტების ფუნქციონირების, სწავლების თანამედროვე სტანდარტების და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე; ასევე ქართულ-ოსური ორმხრივი პროექტის განხორციელება კულტურული მემკვიდრეობის მართვის საკითხებზე.

განათლება

საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის საქართველოში განათლების მიღების შესაძლებლობის

წახალისების, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნისა და ერთობლივი კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისათვის.

ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა ახორციელებს სპეციალურ 1+4 პროგრამას, რომელიც საშუალებას აძლევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, ჩაირიცხონ და ისწავლონ ქვეყანაში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამარტივებული პროცედურების საფუძველზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეიმუშავა ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით მიღებული განათლების აღიარების პროცედურების გამარტივების ინიციატივები, რომელთა განხილვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

2014 წლის მაისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში შეიქმნა განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომლის მიზანია ქვეყნის მოსახლეობისათვის, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის, ევროპისა და აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების შესაძლებლობის მიცემა. როგორც აღინიშნა, ცენტრი განაცხადს იღებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირებისაგანაც.

გამყოფი ხაზით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და დონორთა დახმარება

2013 წლიდან სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლების დახმარებაა. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეასრულა წამყვანი როლი მავთულხლართებისა და სხვა წინაღობების აღმართვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირებას და მათზე შემდგომ რეაგირებაში. 2013 წელს მისი ხელმძღვანელობით უწყებათშორისმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა გამყოფ ხაზთან

მდებარე გორის, ქარელის, კასპისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების 77 სოფელში არსებული მდგომარეობა და შეიმუშავა საჭიროებათა შეფასების დოკუმენტი.

საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 4 ოქტომბერს შექმნა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, რომლის თანათავმჯდომარეები არიან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი. კომისიის წევრები პირადად ჩავიდნენ გამყოფი ხაზის მიმდებარე თემებში და შეხვდნენ 48 სოფლის ადგილობრივ მოსახლეობას.

კომისიის მუშაობის შედეგად:

- ზამთრის პერიოდში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (გორის, კასპის, ონის, საჩხერეს, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტები) მცხოვრები პირების გათბობით უზრუნველსაყოფად 11 440 ოჯახს (50 სოფელი) გადაეცა 200 ლარი, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 2 288 000 ლარი;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული ოჯახების 471 სტუდენტს, რომლებიც ჩარიცხული არიან ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პროგრამებზე, დაუფინანსდა 2013-2014 სასწავლო წლის სწავლის საფასური. განათლების სამინისტროს წარდგინებით კომისიამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2014-2015 სასწავლო წელს გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლა კვლავ დაფინანსდეს;
- სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და საკომუნიკაციო საშუალებებით აღიჭურვა სკოლები, განახლდა სასკოლო ბიბლიოთეკები, პერსონალს და მოსწავლეებს დაურიგდათ კომპიუტერები და ბუკები; განხორციელდა 600-ზე მეტი მოსწავლის სასკოლო ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- სოფ. აბანოში აშენდა თანამედროვე საჯარო სკოლა, რომელიც გათვლილია 90 მოსწავლეზე;
- 9 სოფელში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილები;
- უმეტეს სოფლებში გაიმართა საირიგაციო სისტემა;
- მიმდინარეობს 58 სოფლის (13,375 კომლი) გაზიფიცირება, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოიყო 19 მლნ. ლარი. გაზიფიკაციის სამუშაოები უკვე

დასრულდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების უმრავლესობაში (16 სოფელში), ხოლო დანარჩენში სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს;

- აშენდა 20 ამბულატორია;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავეში სრულდება კლინიკის მშენებლობა, რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვება და პაციენტებს წლის ბოლოდან მოემსახურება;
- ჩატარდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია;
- განხორციელდა სამუშაოები გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა დადგენისა და ქონების რეგისტრაციის მიმართულებით.

კომისიის ფარგლებში დაზარალებული მოსახლეობის აქტუალური პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მუშაობდა დიპლომატიური კორპუსის და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, კერძოდ, გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატის (UNHCR), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), იაპონიის საელჩოს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, ისევე როგორც სხვა ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შექმნა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის გაავრცელა ბროშურა და დოკუმენტური ფილმი, რომელიც დეტალურად ასახავს ბორდერიზაციის უარყოფით შედეგებს.

შედეგად, გაეროს და ევროკავშირის მიერ 1311 მოწყვლად ოჯახზე გაიცა 500 ლარის ოდენობის ფულადი დახმარება, ხოლო 700-ზე მეტ ოჯახს მიეწოდა ზამთრის პერიოდში თბოიზოლაციის საშუალებები. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევით განხორციელდა ეკონომიკური პროექტები; შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დახმარებით მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია. შიდა ქართლის მოსახლეობის დასახმარებლად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ახორციელებდა მიკროეკონომიკურ პროექტს,

რომლის ფარგლებში გაიცემა ფულადი გრანტებიც. ევროკავშირის და გაეროს დახმარებით სოფელ დვანში მოხდა საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. სახელმწიფო მინისტრის აპარატი მადლობას უხდის აღნიშნულ ორგანიზაციებს გაწეული დახმარებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიული ქარტიის ფარგლებში 2013 წელს ჩატარებული ორმხრივი შეხვედრის დროს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან გაჟღერებული თხოვნის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ საქართველოს დასახმარებლად დამატებით გამოყოფილ 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის პაკეტის მთავარ პრიორიტეტებს შორის მოხვდა გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები პირების დახმარება, დაახლოებით 40 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტით, რომელიც ითვალისწინებს სასმელი წყლის სისტემის, სარწყავი არხების, სადრენაჟო სისტემისა და სოფლის გზების რეაბილიტაციას და რომლითაც 4 ათასამდე ოჯახი ნახავს სარგებელს. ეს დახმარება ასევე ითვალისწინებს შემოსავლის ახალი წყაროს გაჩენას გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები დაახლოებით 2000 განსაკუთრებულად მოწყვლადი ოჯახისთვის პროფესიული გადამზადების, ფინანსებისადმი წვდომისა და მიკროსამრეწველო დახმარების უზრუნველყოფის გზით.

როგორც იცით, USAID-ის დაფინანსებით, დასრულდა სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც შიდა ქართლში გამყოფი ხაზის მიმდებარე 39 სოფლის 20 ათას ჰექტრამდე მიწის სარწყავი სისტემა გაუმჯობესდა, რაც 18 ათას ოჯახს მოუტანს სარგებელს. 2008 წლამდე ტირიფონის საირიგაციო სისტემით გორის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი ნაწილი სარგებლობდა, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ დე-ფაქტო ხელისუფლებამ არხი გადაკეტა, რის შედეგადაც უწყლოდ დარჩენილ სოფლებში მოსავლის მოყვანა შეუძლებელი იყო. სალთვისი-ტირიფონის მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის შედეგად სარწყავი წყლის მიწოდების პრობლემა სრულად მოგვარდა.

გარდა ამისა, ხელისუფლების თხოვნისა და აქტიური თანამშრომლობის შედეგად, ეუთო-მ მოამზადა ორი პროექტი - სოფ. ნიქოზში შემომავალი დაბინძურებული წყლის

გაწმენდასთან და სოფ. ზემო სობისის ჭაბურღილის მშენებლობასთან დაკავშირებით - და მოიძია საჭირო თანხებიც.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ წარმოებული მოლაპარაკებებისა და მიწოდებული სათანადო ინფორმაციის შედეგად თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TiKA) მიერ სოფ. რენეში მოეწყო ახალი ამბულატორია და აღიჭურვა სამედიცინო ინვენტარით.

სახელმწიფო მინისტრის აპარატში მომზადდა „კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის“ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული სოფლების დახმარებას 4 მიმართულებით: 1) ინფრასტრუქტურის, 2) სოფლის მეურნეობის განვითარება, 3) სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და 4) ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება და ბიზნესის ხელშეწყობა. სტრატეგია ასევე, ითვალისწინებს საოკუპაციო ხაზის მიღმა კონკრეტული სერვისების შეთავაზებას, რამეთუ მოთხოვნა ამ უკანასკნელზე გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობაში იზრდება. ზემოხსენებული დოკუმენტი საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად უახლოეს პერიოდში წარედგინება.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს ჟენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფს, რომელშიც განიხილება საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილების საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების, ასევე სხვა ჰუმანიტარული საკითხები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად არის ჩართული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მუშაობაში. აპარატის

წარმომადგენლები ესწრებიან ერგენტში სამ კვირაში ერთხელ გამართულ შეხვედრებს (გალში შეხვედრები არ ტარდება, აფხაზური მხარის სუბიექტური მოსაზრებების გამო). აღნიშნულ ფორმატში განიხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტი. ამ მხრივ აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის დაკავება და დაპატიმრება გამყოფი ხაზის "უკანონო გადაკვეთის" ბრალდებით. ამას გარდა, IPRM-ის შეხვედრებზე დასმულ საკითხებს შორისაა ყაჩაღობის, ძალადობის, სხვადასხვა სამუშაოზე უსასყიდლოდ იძულებით გაყვანის, თანხის გამოძალვის მიზნით გატაცების, მკვლელობისა და ქონების დასაკუთრების შემთხვევების განხილვა და შეძლებისდაგვარად მოგვარება.

მართალია, ე.წ. „საზღვრის დარღვევისათვის“ უკანონო დაკავებები გრძელდება, მაგრამ „ცხელი ხაზის“ აქტიური მუშაობის შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა სიტუაცია - გატაცებულთა უმრავლესობის სწრაფი გათავისუფლებისათვის გვინდა მადლობა გადავუხადოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

სამოქალაქო ინტეგრაცია

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს *შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა*. ეს დოკუმენტი დამტკიცდა მთავრობის მიერ 2009 წელს; შესაბამისად, 2013-14 წლებში სტრატეგიის იმპლემენტაცია გაგრძელდა. სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობა წარმართა კონცეფციით განსაზღვრული ექვსივე სტრატეგიული მიმართულებით: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციზე ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით შექმნილია სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია. სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს უწყებათაშორისი

კომისიის მუშაობას: საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის სხდომები და სამუშაო შეხვედრები, თემატური დისკუსიები და კონსულტაციები, შემუშავდა რეკომენდაციები. აგრეთვე, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობაში მომზადდა 2013 და 2014 წლების სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიშები. ანგარიშები წარედგინა მთავრობას, ასევე ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს, სამოქალაქო სექტორს.

კომისიის ფარგლებში 2013 წელს ჩამოყალიბდა თემატური სამუშაო ჯგუფები. ეს ფორმატი იძლევა იმის საშუალებას, რომ სხვადასხვა საკითხების განხილვაში ჩაერთონ არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები, ყველა ის აქტორი, ვინც მუშაობს აღნიშნულ საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით აქტიურად წარიმართა მუშაობა განათლებისა და მედიაზე ხელმისაწვდომობის თემატურ ჯგუფებში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი საკმაოდ კრიტიკულად უყურებს თავის საქმიანობას, სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეულ შედეგებს. ამის დასტურია *შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი*, რომელიც მომზადდა აპარატისა და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ერთობლივად. დოკუმენტში გამოვლინდა ის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, რაც შეიმჩნეოდა კონცეფციის განხორციელების პროცესში. მიღებული დადებითი შედეგები, ასევე ხარვეზები და ნაკლოვანებები იქნება გათვალისწინებული და სწორედ ამ ანალიზს დაეფუძნება ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

მოქმედ კონცეფციას და სამოქმედო გეგმას წელს ეწურება ვადა და სახელმწიფო მინისტრის აპარატი მუშაობს ახალი სტრატეგიისა და მომავალი წლების სამოქმედო გეგმაზე. ეს პროცესი არის გახსნილი; სახელმწიფო მინისტრის აპარატი მიესალმება ყველა დაინტერესებული აქტორის ჩართულობას. ახალი დოკუმენტი დამტკიცებამდე იქნება ფართოდ განხილული არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებში. მას ჩაუტარდება საერთაშორისო ექსპერტიზა.

ბოლო წლების განმავლობაში გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის მიმართულებით, მათი სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით.

აღსანიშნავია ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვა და განმტკიცება ქვეყანაში. ასევე, წელს დამტკიცდა ადამიანის უფლებათა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ეროვნული უმცირესობების უფლებების ნაწილი არის ამ დოკუმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომლის მომზადებაში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობა ამ მიმართულებით ითვალისწინებდა კანონმდებლობით და საერთაშორისო ვალდებულებებით განსაზღვრული ეთნიკური უმცირესობების უფლებების შესახებ ინფორმაციის გაცნობას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. შედგა შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უშუალოდ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

განათლება

განათლების მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა პროგრამები/პროექტები და სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო არის ახალგაზრდებისათვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა. გამარტივებული სისტემა (ე.წ. ქვოტირების სისტემა) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის უკვე აპრობირებულია 2010 წლიდან.

2010 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა ეროვნულ უმცირესობათა სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ცალსახად ამ პროგრამის დამსახურებაა.

სტატისტიკა:

2010 წელს 247 არაქართულენოვანი სტუდენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში, 2011 წელს სტუდენტების რაოდენობა გახდა – 430, 2012 წელს – 589, 2013 წელს - 890, ხოლო 2014 წელს - 673.

საანგარიშო პერიოდში განათლების მიმართულებით გაიმართა შეხვედრები ქვემო ქართლში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, მათ მიეწოდათ ინფორმაცია „4+1 პროგრამის“ შესახებ. ასევე გაიმართა სამუშაო შეხვედრები არაქართულენოვანი სკოლებისა და ქართული ენის სახლების პედაგოგ-მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მარნეულში, დმანისში, გარდაბანში, ახალქალაქში, თბილისში.

2014 წლის ივნისში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ერთად მარნეულში ჩატარდა აბიტურიენტთა პრეტესტირება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვემო ქართლის 250 ახალგაზრდამ.

სახელმწიფო (ქართული ენის) ცოდნის საკითხი რჩება გამოწვევად. 2002 წლის მონაცემებით, არაქართულენოვანი მოსახლეობის მხოლოდ 30-% ფლობდა სახელმწიფო ენას. ვფიქრობთ, ეს მაჩვენებელი ახლა იქნება გაზრდილი, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებში. (კონკრეტული მონაცემები გვექნება მომავალ წელს; საყოველთაო აღწერის შედეგები მოგვცემს ამ ინფორმაციას). ბოლო წლების განმავლობაში სერიოზული ყურადღება დაეთმო ქართული ენის სწავლებას და განხორციელდა პროგრამები, რაც მიზნად ისახავდა ქართული ენის სწავლებას და მის გაუმჯობესებას არაქართულენოვან სკოლებში. გაიხსნა ქართული ენის სახლები და ცენტრები ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. ბოლო წლების განმავლობაში ეს პროგრამები გაფართოვდა და გაძლიერდა.

მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო ენის არცოდნა სერიოზულად აფერხებს ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციას, ხელს უშლის მათ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამგვარად, ეს საკითხი რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად. სწორედ ეს ფაქტორი ზღუდავს მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

რაც შეეხება ინფორმაციაზე წვდომას, ეს უფლება არის კანონით განსაზღვრული (მაუწყებლობის შესახებ კანონი). კანონი ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს მოამზადოს ეროვნულ უმცირესობების ენებზე, ეროვნული უმცირესობების შესახებ გადაცემები. ეს ვალდებულება სრულდება, და გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, 2013 წლიდან ეთნიკური უმცირესობების წვდომა ინფორმაციაზე გაუმჯობესდა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა ყოველდღიურად მიიღონ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების შესახებ. ნაციონალური „მოამბე“ საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხით ყოველ დღე გადის ეთერში ეთნიკური უმცირესობების 5 ენაზე.

ასევე, სახელმწიფო განაგრძობდა ეთნიკური უმცირესობების ენებზე ბეჭდვითი მედიის მხარდაჭერას.

სამოქალაქო მონაწილეობა

2012-2014 წლები იყო არჩევნების პერიოდი. ქვეყანაში ჩატარდა საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ამდენად, მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების არჩევნებში თანასწორი და აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა და მიაწოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ის ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო მათი არჩევნებში აქტიური მონაწილეობისათვის. ყველა საჭირო მასალა ითარგმნა უმცირესობების ენებზე. წარიმართა ახალგაზრდა ამომრჩეველთათვის და ქალებისთვის საარჩევნო პროცესის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია. გაიმართა შეხვედრები, სემინარები, ტრენინგები გარდაბანში, მარნეულში, დმანისში, ახალციხეში, ახალქალაქში.

სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია

საანგარიშო პერიოდში აპარატის ხელშეწყობით და მონაწილეობით განხორციელდა სოციალური მიმართულებით ღონისძიებები. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებსა და სოციალური დახმარების შესახებ. 2012-13 წლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ეროვნულ სკრინინგ ცენტრთან ერთობლივად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აწვდიდა ინფორმაციას სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ქვემო ქართლის (მარნეული), სამცხე-ჯავახეთის (სოფ. ფოკა) და კახეთის (სოფ. კაბალი) მუნიციპალიტეტების არაქართულენოვან მოსახლეობასთან.

2013-2014 წლებში გაგრძელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. ეს პროექტები ითვალისწინებდა გაზიფიკაციას, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაციას; სასკოლო, სპორტული ინფრასტრუქტურის შეკეთებას/განახლებას.

2013 წლის მონაცემებით ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელდა 445 პროექტი, საერთო ღირებულებით 6, 876, 958 ლარი, კახეთის რეგიონში - 550 ზე მეტი პროექტი, საერთო ღირებულებით 6, 631, 499 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 430 მეტი პროექტი, საერთო ღირებულებით 3, 605,112 ლარი.

კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო მხარს უჭერდა ეთნიკური უმცირესობების კულტურულ ცენტრებს და თეატრებს.

ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა კულტურული ღონისძიებები. მათ შორის აღსანიშნავია, მულტიეთნიკური კულტურის ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, რომლის მიმართ ინტერესი, როგორც ეთნიკური უმცირესობების მხრიდან, ასევე ქართულენოვანი ახალგაზრდების მხრიდან წლიდან წლამდე იზრდება, ფართოვდება ასევე მისი გეოგრაფიული არეალი. ფესტივალის ფარგლებში 4 დასკვნითი კონცერტი (კლასიკური მუსიკა და ფოლკლორი) ჩატარდა 2013 და 2014 წლებში. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქვემო-ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, აჭარის რეგიონების ახალგაზრდებმა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს. ახალგაზრდები წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად სამიზნე ჯგუფს კონცეფციის ყველა სტრატეგიული მიმართულებით.

- ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სახის კულტურულ, შემეცნებით ღონისძიებებში, ექსკურსიებში. წელს 50 მდე აზერბაიჯანელმა სტუდენტმა მოინახულა კახეთის ისტორიული ძეგლები. ქვემო ქართლის 20 მდე მოსწავლემ მოინახულა საქართველოს ეროვნული მუზეუმი. პანკისის ხეობის მოსწავლეებმა მოინახულეს ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში.
- აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა ასევე ლიტერატურულ-ისტორიულ-შემეცნებითი ღონისძიებები სოფ. ყარაჯალას, სოფ. დუისის საჯარო სკოლებში.
- საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებთან იწვევს ახალგაზრდებში დიდ ინტერესს. მათ ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ სხვადასხვა უწყებების საქმიანობას, უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირებისგან მოისმინონ მათი ხედვა აქტუალურ საკითხებზე და თავისი მოსაზრებებიც წარმოადგინონ. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით 2013-14 წლებში ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან ახალგაზრდები იმყოფებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის

სახლში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში, შსს-ს აკადემიაში.

- აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით და მონაწილეობით გაიმართა ლექცია-სემინარები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებისთვის როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. გაიმართა ლექცია-სემინარები და დისკუსიები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ახალციხის უნივერსიტეტში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლექციების თემები იყო მრავალფეროვნება და ტოლერანტობა, ეროვნული უმცირესობების უფლებები საქართველოში, სახელმწიფოს პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით და სხვა.

ევროკავშირი-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება

სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად ახორციელებს საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ საინფორმაციო კამპანიას ეთნიკური უმცირესობებისთვის. 2014 წლის განმავლობაში მომზადდა საინფორმაციო მასალები ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური, ოსური) და გავრცელდა. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა არაქართულენოვან სტუდენტებთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა „4+1“ პროგრამის ბენეფიციარ სტუდენტებისთვის გამოაცხადა ესეების კონკურსი თემაზე „ევროინტეგრაცია და მე“. კონკურსი ითვალისწინებდა ახალგაზრდების მოსაზრებების და მიდგომების წარმოჩენას საქართველოს ევროპულ არჩევანთან მიმართებაში. საკონკურსო კომისიამ გამოავლინა 3 საუკეთესო ნაშრომის ავტორი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ, ხოლო საუკეთესო სტატიები დაიბეჭდა გაზეთებში „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“.

ასევე, საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ ქვემო ქართლის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთის მედია წარმომადგენლებთან.

სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში მნიშვნელოვანი იყო ურთიერთობა მოსახლეობასთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან, თემის ლიდერებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა საკითხების ეფექტიანი მოგვარების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატი შუამდგომლობდა სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან; არსებული საკითხების ადვოკატირებას ხშირ შემთხვევაში დადებითი შედეგი ჰქონდა.

მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან. აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან.

კონცეფციის ფარგლებში პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად სახელმწიფო მინისტრის აპარატს ბოლო 2 წლის განმავლობაში მხარს უჭერდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), საქართველოს გაერო-ს ასოციაცია (UNAG).

###